№ 78 აპრილი 15, კვირა 1890 აპრილი 15, კვირა № 78

# ივერია

ბაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აფშილის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი"

ძველფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ოჯახის ასული

კომედ. 3 მოქ., გ. წერეთლისა

II

საძაგელი

კომედ. 2 მოქ., ერისთავისა

მონაწილენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა

აკაკი წერეთლისა

ფასი 50 კაპ.

სასწავლებელი და პანსიონი

სტ. გესარ. ჯორჯიკიასი

( ქუთაისში )

ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის. (10—7)

რადგანაც განვიზრახეთ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ლექსების კრებულის გამოცემა, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია ამ ლექსების შეერთება და საერთოდ გამოქვეყნება, თუ ეპოვება რამ ლექსი განსვენებულისა, ჩვენ გამოგვიგზავნოს. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენს სურვილსა და განზრახვას ყველა სიამოვნებით მიეგებება და ხელს მოგვიმართავს და შეგვიწყობს, რომ ეს განზრახული საქმე სავსებით შევასრულოთ და ჩვენ მიერ გამოცემული კრებული სრული და უნაკლული იყოს. ფოსტის ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ, თუ არ დაიზარებენ და, რაც-კი შეიძლება, საჩქაროდ გამოგვიგზავნიან. ადრესი: Караванъ-Сарай Онанова. № 48, г. Ратіани.

სიძე განსვენებულისა გარსევან რატიანი. (5—5)

## ახალი ამბავი

*** მოსკოვის არხეოლოგიურს საზოგადოებას მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა 25,000 მან. სხვა-და-სხვა საარხეოლოგიო გამოძიება - გამოკვლევათათვის კავკასიაში და სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებში. პირველად ამ ფულით დაიბეჭდა მასალა, შეკრებილი თერგის მხარეში ვს. მილლერის მიერ. ეხლა კიდევ დაიბეჭდა გამოკვლევა შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირების საარხეოლოგიო აღწერა, შედგენილი სიზოვის მიერ.

*** ჩვენ მოგვივიდა ხაშურიდგან იქ შეკრებილი 39 მან., ნახევარი წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა და ნახევარიც დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ფონდის ფული იყო დღემდე 594—50. შესდგა 19 მან. 50 კაპ. მიმატებით 614 მან. დანარჩენი 19 მ. 50 კ. გაეგზავნა დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. ქვემოდ იბეჭდება თვით სიაც ამ ფულის შემომწირველთა.

*** სამშაბათს, 17 აპრილს, ქართულის დრამატიულის დასის არტისტები წარმოადგენენ ახალს პიესას ჩვენის პოეტის აკაკი წერეთლისას: „პატარა კახი", ხუთ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა. ეს პიესა ერთიან ლექსად არის დაწერილი და მეფე თეიმურაზისა და ირაკლის ცხოვრებას შეეხება.

*** ორშაბათს, 16 აპრილს საღამოს, $7^1/_2$ საათზე, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. მორიგ საქმეთა გარდა დანიშნულია არჩევა სარევიზიო კომისიისა, არჩევა საზოგადოების თანამდებობის კაცთა და განხილვა ხარჯთაღრიცხვისა $18^{90}/_{91}$ წლისათვის.

*** გუშინ-წინ, 14 აპრილს, სათავად-აზნაურო ბანკის კრებამ გაარჩია მესამე მორიგი საქმე შესახებ დამფასებელთა ამორჩევის აწ არსებულის წესის შეცვლისა. ერთ-ხმივად გადაწყდა, რომ შეერთებულმა კრებამ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისამ კი არ წარუდგინოს საზოგადო კრებას კანდიდატები დამფასებელთა ამოსარჩევად, არამედ თვით საზოგადო კრებამვე დანიშნოს და ვინც უნდა, ის ამოირჩიოს. შემდეგ დივიდენდის შესახებ გაიმართა საუბარი და რადგანაც ამაზედ ბაასი ვერ დასრულდა თავმჯდომარემ ეს საგანი, მეორე დღისათვის გადასდო გასარჩევად.

*** ბარის ოსეთი: ბარის ოსეთშიაც გაგვიზაფხულდა და მარტმა მშვენიერი ამინდები დაიჭირა; აპრილმაც ტკბილად გაგვიღიმა; ჩვენი ვაკეთ გადაჭიმული მინდვრებიც შეიმოსა მწვანით; ბარის ოსებს, თითქო შეშურდათ ამ ნაირად ზამთრისგან დახრუკულ მინდვრების მწვანედ შემოსვა. მიჰყვეს ხვნას ხელი და აგერ ერთი კვირაა სახნის-საკვეთლებმა დაიწყეს ვაკე მინდვრებზედ პრიალი და შავის ბელტებით ააჭრელეს მწვანედ შემოსილი არე-მარე, მაგრამ ზოგზოგთ კი გუთნები ძალიან დაღონებული დაუდით. მიზეზი დაღონებისა ის არის, რომ გაზაფხულის პირად საქონელს თურქული დაერია და ძალიან შეაწუხა. ამ ჟამად ბარის ოსებში მუცელას მაგვარი სენი მძვინვარებს. ეს სენი თუმცა ჯერ ზარალს არ აძლევს ხალხს, მაგრამ ძლიერ შეაწუხა-კი.

*** იქიდ მვე: შარშანდლამდის ბარის ოსებს სახელმწიფო ტყიდგან ნება ჰქონდათ, რომ, როგორც უნდოდათ, ისე ესარგებლნათ, მაგრამ წელს-კი აღუკრძალეს ტყიდგან სარ-

# ფელეტონი

## რა ბედნიერნი არიან!

(უნგრიული ამბავი)

კარგა ხანს ინაღვლა, იშფოთა და ცრემლი ჰღვარა მშვენიერმა ფანი მორეაიმ, ვიდრე დასთანხმდებოდა და გათხოვდებოდა, რათა ამით თავისის მშობლების ნატვრა აესრულებინა. ოღონდ-კი როგორმე დაეყოლიებინათ და მშობლები ხან ეხვეწ-ემუდარებოდნენ, ხან ნაზად სტუქსავდნენ, ხან უჯავრდებოდნენ.

მამა, ადამ მორეაი, ფრიად პატივცემული კაცი, მიხვდა, რომ თვრამეტის წლის ქალის იდეალთან ბრძოლა ძნელია, გაიხურა კარები და მარტო დასტოვა ცრემლ-მორეული ქალიშვილი და იმისი დაფიქრებულ-დაძმარებული დედა.

დედას-კი ჯერ სრულიად არა ჰქონდა იმედი დაკარგული და კარგად იცოდა ყველა საშუალება, რითიც-კი შესაძლებელი იყო ყმაწვილის ქალის გულის მოლბობა და მოთათბირება. მშობელმა ქალს ცრემლით დაწინწკლული წითელი ლაწვები დაუკოცნა, შემდეგ ნაზად ჩაიკრა გულში და ცბიერის ხმით უთხრა:

— საყვარელო და ძვირფასო შვილო, დაანებე თავი მაგ სისულელეს. იფიქრე, რა ბედნიერი მერმისი მოგელის. თავადიშვილი გეყოლება, შვილო, ქმარი, და სხვა რაღა გინდა? შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, რაღა თქმა უნდა, გულით უფრო ახალგაზდა და ლამაზის ყმაწვილის კაცის შერთვასა ხარ მოწადინებული და ვიცი კიდეც, საითაც მიგირბის გონება... ხოლო მარტო ის წარმოიდგინე, რომ თავადიშვილის ცოლი იქნები! უმაღლესის არისტოკრატიის წარმომადგენელთა შორის იტრიალებ და ყველას დასჩრდილავ შენის სიმშვენიერით. ყველა შენ შემოგნატრის, რადგან ყველაზედ ლამაზი იქნები, შეძლებული და ნორჩი. ვინ ამბობს, მართალია, შენი საქმრო ახალგაზდა არ არის, არც განსაკუთრებით ლამაზია და არც შეძლებული, მაგრამ... თავადია, შვილო, და შენ-კი, მადლობა ღმერთს, იმდენი შეძლება მოგეპოვება, რომ თავადურად იცხოვრო. განა ამაზედ მეტი ბედნიერება-ღა გინდა. ჩვენ შენი ძალ-დატანება არ გვინდა, მაგრამ მეცა და მამაშენიც დიდად ბედნიერები ვიქნებოდით იმ გარემოებით, რომ აი, ჩვენი შვილი თავადის ცოლია და სასახლეში მისვლა-მოსვლა აქვსო.

— დედაჩემო...

— ვიცი, ვიცი, შვილო, რომ გათხოვება ფრიად მძიმე ნაბიჯია ყმაწვილის ქალისათვის და დიდის მოფიქრებითაც უნდა გადასდგას. აგრეა და ამიტომ არც გაჩქარებ. თავადმა ცოლობა გთხოვა და მოუთმენლად ელის შენს პასუხს. კარგად მოიფიქრე. დრო მთელი ღამე გაქვს, ხვალ დილითავართ დაპირებული პასუხის მიცემას. ნუ დაგავიწყდება, რომ შენი მშობლები დიდად მოწადინებულნი არიან ამ ქორწილს. შენის პასუხით დაგვიმტკიცებ ეხლა, რამდენად გიყვარვართ.

დედამ კვლავ აკოცა თავის ქალიშვილს და ნაზად გამოეთხოვა. კარებთან მივიდა კიდეც, რომ კვლავ მობრუნდა:

— კარგად მოიფიქრე... რა ბედნიერნი იქნებით! თავადიშვილის ცოლი გახდები!.. სთქვა დედამ და მოფარდაგებულ კარებს იქით მიეფარა.

დიდის ტანჯვითა და ცრემლის ღვრით გაატარა ის ღამე საბრალო ფანი მარეაიმ.

გონებაცა და გულიც თვრამეტის წლის ყმაწვილის ქალისა ზიზღით უყურებდა თვალ-წინ საქმროს ყალბს ქერა თმასა და უსიამოვნო, პრტყელს პირისახეს. გული სულ იმას უთქვამდა, რომ წამომხტარიყო, შევარდნილიყო დედის ოთახში და სასოწარკვეთილებით დაეძახნა:

— არასოდეს, არა, არასოდეს!..

მაშინვე გაითვალისწინა, როგორ დაიწყებს ჯავრობას მამაჩემი, როგორ დამემუქრება დედაჩემი, და ამასთანავე იმის ყურებში გაისმა სიტყვა „თავადი", რომლის გულისთვისაც სწირავდნენ მშობლები თავის ქალს. საბრალო ფანიმ თავი ბალიშებში ჩაჰმალა და მდუღარება გადმოაბნია.

ცრემლებმა ოდნავ შეუმსუბუქა ტანჯული გული და გონებამ დაიწყო მეფობა.

ახლა მართალი რამ სთქვას ადამიანმა, ხომ მარტო ცოლი უნდა გავხდე იმ კაცისა, რომელიც არ მეყვარება, არ არის ჩემის სიყვარულის ღირსი, და არცა ვარ ვალდებული მიყვარდეს. ის ვაჟბატონი თავისს თავადობასა ჰყიდის, ჩემი მშობლები ჰყიდულობენ და სასყიდლად ჩემს თავს აძლევენ. თუ არა-და, თუ-კი ჩემს მშობლებს უეჭველად უნდათ, მე რა შემიძლიან! წინააღმდეგობას ხომ ვერ დაეუწყებ?

ჰფიქრობდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც ჯერ არც სიყვარული გამოეცადა და არც ვნებათა ღელვა, და ცოტ-ცოტა ურიგდებოდა თავადიშვილის ცოლობას... ამ ვაჟრობას, სადაც საბრალოდ მთელის იმის სიცოცხლის ბედნიერება გაეხადნათ.

მეორე დილას თავადიშვილმა თავმომწონედ გაუღიმა, როდესაც ადამ მორეაი, მილიონის პატრონი, გადაეხვია და შესძახა: „საყვარელო შვილოვო!" (ასეთს მილიონის პატრონს ყველა სიამოვნებით შეიშნევდა მამად, გაკოტრებული თავადიშვილიც-კი). სასიძეც სიამოვნებით ჰბრწყინავდა.

ხოლო მშვენიერს სადედოფლოსკი სიამოვნებისა და სიხარულის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. თავადი ჰხედავდა ამას, მაგრამ ბაიბურშიაც არ იგდებდა. ვნებათა ქარტეხილში გამოვლილი სახიძო ნახევრად დამპალს, გადასამტვრევად გადახრილს ხესა ჰგავდა... ამ კაცს ვალებისა და თავადობის ღირსების მეტი აღარა დარჩენოდა-რა და თავადობით ვალების გადახდას იყო მოწადინებული.

სურვილიც განუხორციელდა და ძირს მოგებად დარჩა კიდევ ლამაზი და მშვენიერი მეუღლე.

სათქმელია ისიც, რომ თავადი ჭეშმარიტად მართებულად აღზრდილი და განათლებული კაცი იყო და კარგად იცოდა, რომ ცოლისაგან ბრძანდებოდა დავალებული.

ქორწილს შემდეგ, რომელიც, რაღა თქმა უნდა, დიდის ამბით გადიხადეს და რომლის ნახვითაც არა ერთხელ აუტოკდა სიამოვნებით გული არა-კეთილშობილს ადამ მორეაის, ახლად ჯვარ-დაწერილნი თავისს კოხტა და პაწია სასახლეში გაემგზავრნენ.

თავადი მიუბრუნდა თავის მშვენიერს მეუღლეს და მოწიწებით მოახსენა:

— ბატონო ჩემო, კარგად მესმის, რა მსხვერპლიც გასწირეთ, რომ თქვენის მშობლების თხოვნა აგესრულებინათ. ვეცდები თქვენს მდგომარეობას პატივი დავდო და სიტყვას გაძლევთ,

გებლობა, არამც თუ უფასოდ, არამედ ფასითაც. ამ ამბავმა ბარის ოსები ძლიერ შეაწუხა და დაალონა, რადგან კერძო ტყეები არსად არ არის. ოსები ნატრობენ: ნეტავ გადაგვიწყვიტონ და ფასით მაინც დაგვრთონ ნება, ვისარგებლოთ ტყითაო. ბარის ოსებში ამ ჟამად შინაურ ფრინველთაც მოედო რაღაცა საკვირველი ჭირი, ქათამი და ინდოური თითქმის სულ გააწყო, ბატსა და იხვს, იტყვიან ხოლმე, ჭირი არა ხვდებაო, მაგრამ, ასე გასინჯეთ, იმათაც კი მუსრი გაავლო ამ ქათმის სენმა.

*** იქიდამვე: სამს აპრილს ერთი სალოდაობა მოხდა სოფ. ხუმელაგაში: გაპო ქანგიევი და ქარქი ბორუყაევი ნასვამობის გამო რაღაცაზედ აუხირდნენ ერთმანეთს, გაჯავრებულმა ქარქიმ იძრო ხანჯალი, წაატაკა გაპო ქანგიევს და ნაწლავები გადმოაყრევინა. გამოძიება სწარმოებს. ხუთს ამ თთვეს სოფ. ხუმელაგაშივე მოუვიდათ ჩხუბი ყამბოლათა გასიევს და კუდირა ყაითმაზოვს, კუდირამ დაჰკრა თავში ბარი და შუაზედ გაუჩეხა თავი ყამბოლათას. გამოძიება სწარმოებს.

*** კავკავი: ამ ერთის წლის განმავლობაში კავკავის საპატიმროდგან თითქმის ოთხჯერ გაქცეულან პატიმრები და გასაკვირველია, რომ საპყრობილის გამაგრებას ყურადღებას არ აქცევენ, ვისგანაც ჯერ არს. აი კიდევ წარსულს მარტის 29 ღამე, დააპირეს ექვსმა პატიმარმა გაქცევა (ამათ'ში ხუთი ოსი იყო და ერთი ქისტი). ტუსაღებს, ექვსივეს, კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამ ექვსში ხუთმა გაასწრო, გაეპარა მცველებს და გაიქცა, მეექვსე-კი, სოფ. ხუმელაგელს გაპო ცალოევს სწორედ იმ დროს, როცა გადადიოდა ფანჯარიდგან, მცველმა საპატიმროსამ გაუგო და მცველი და ტუსაღი ორივენი ერთმანეთს მისცვივდნენ. მცველმა თოფის სროლა ველარ მოასწრო, ამიტომ ხიშტი ატაკა ცალოევს მარცხენა იღლიაში და მეორე იღლიაში გაახედა. ტუსაღმაც დანა ამოიღო ჯიბიდგან და სამჯერ დაჰკრა მცველს. ცალოევი მეორე დღესვე გარდაიცვალა. ამბობენ, რომ დაჭრილი მცველიც გარდაიცვალაო.

*** იქიდამვე: წარსულ მარტის მიწურულებში კავკავში ერთი საწყალი დედა-შვილნი გამოასალმეს წუთი სოფელს ავაზაკებმა. საბრალოები საზარლად დაეჩეხნათ გულქვავ ავაზაკებს და დაეტოვებინათ ისე წალებით ბევრი არაფერი ეშოვნათ-რა წასაღები. როგორც გავიგეთ, ავაზაკები ოსები ყოფილან და კიდეც შეუპყრია მთავრობას ყველანი.

*** ტფილისის საქალაქო გამგეობას განუზრახავს დედათა სამკურნალოს აველაბარში მიუმატოს მამაკაცთათვისაც დანიშნული განყოფილება. ამისათვის გამგეობას აქვს აზრად მოიხმაროს ის 12,000 მან., რომელიც შესწირეს ძმ. ფითოევებმა, ყორღანოვმა და ფრიდონოვმა გენერალ შულმანის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებლად მომავალს კავკასიის უნივერსიტეტში. იმ ფულმა დღემდე ისარგებლა და იმატა, ასე რომ შესდგა 18,000 მან. (გაზ. „ტფ. ფურც").

*** „Нов. Вр."-ა ამბობს, რომ ამ დღეებში მოვა აქ საფრანგეთის სწავლულთა ექსპედიციის კრებული, რომელსაც აზრად აქვს გამოიკვლიოს ინდოეთის ახლო-მახლო ქვეყნები და იმიერ-კასპიის მხარე. ექსპედიცია გამოგზავნილია საფრანგეთის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ და მისნი წევრნი ყველაფერს, რაც გზისათვის საჭიროა, პეტერბურგსა და ტფილისში შეიძენენო. ექსპედიციას მიემატება აგრეთვე ორი აფიცერი გენერალურის შტაბისაო.

*** ამ თთვის 13, დილის ათის ნახევარს საათზე, დედათა ინსტიტუტის ახალს შენობაში მეხუთე სართულის ხარაჩოდგან ჩამოვარდა, გაუფრთხილებლობისა გამო, ოსმალეთის ქვეშევრდომი უბრალო მუშა ავეტიქ აივაზოვი. გადმოვარდნის დროს მუშას მძიმედ დაუშავდა თავი. დაშავებული სამკურნალოში წაიყვანეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს, პოლიციის პირველს ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, თ. ნიკოლოოზ არღუთინსკი-დოლგორუკის მამულში ცუდად ნაგებობის გამო ჩაინგრა ცხრა დუქნის კრამიტის სართული. უბედურება არა მომხდარარა.

*** 13 აპრილს, პოლიციის მეორე ნაწილში, „დანიის" სასტუმროში, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა, შორაპნის მაზრის აზნაურს, მზარეულს მელიტონ საყვარელიძეს, სიმთვრალეში ჩხუბი მოუვიდა იმავე სასტუმროში მოსამსახურე აზნ. ალექსანდრე დალაქიშვილთან და ხანჯლით დასჭრა თავში. ოქმი შეადგინეს და დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## კრება სამეურნეო საზოგადოებისა

12 აპრილს*).

კრებაზე დაესწრო სხვათა შორის ტფილისის გუბერნატორი თავადი შერვაშიძეც.

კრების დაწყებისთანავე ბ-ნმა თავმჯდომარემ აუწყა საზოგადოებას ერთის საპატიო წევრის გარდაცვალება და გამოკლება და იმის პატივ საცემლად ყველანი ფეხზედ წამოდგნენ.

მერე ბ ნმა ვერმიშევმა წაიკითხა ვრცელი რეფერატი კალიის გავრცელებისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა იხმარონ მთავრობამა და საზოგადოებამ ამ ფრიად საშიშარის მტრის გასაწყვეტად. აი ამ რეფერატის შინაარსი:

კალიამ იცის გამოჩენა დრო-გამოშვებით. საცა გზად გაივლის, ყველგან მუსრს ადენს და აწყობს დიდ-ძალ ჭირნახულს, მაგრამ ყოველთვის ერთ ნაირად არ მძინვარებს: ხან უფრო ძალა გამოღეულია, ხან გაძლიერებული, ხან მცირეა რიცხვით და ხან ურიცხვია. ამისი მიზეზი ბევრია.

1881 წლიდგან კალიას რიცხვი თანდათან მატულობს ბაქოსა, განჯისა და ტფილისის გუბერნიაში. მთავარ-მართებლის კანცელარიის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ამ სამს გუბერნიაში კალია 284 ადგილს მოსდებია, სულ 200,000-ის დღიურის სივრცეზე. უფრო მეტად განჯის გუბერნიაში მძვინვარებს და უფრო ნაკლებად ტფილისისაში. მაგრამ ეს ანგარიში სწორედ არ უნდა იყოს. ერთი მაზრის უფროსი იუწყებოდა, რომ ჩემს მაზრაში ამოდენსა და ამოდენს დღიურზეა კალიაო და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმაზე ათჯერ მეტი ადგილი ყოფილიყო დაზარალებული, რასაც ის ამბობდა. ამიტომ ნება მაქვს, ვთქვა, რომ, 200,000-კი არა, 2 მილიონ დღიურზეა დღეს კალია გავრცელებული. მე მგონია, რომ ტფილისის გუბერნიიდგან დაწყებული კასპიის ზღვამდე მტკვრისა და არაქსის ხეობები და მათ ახლო მდებარე ადგილები სულ უნდა იყოს კალიისაგან მოცული. რამდენიც უნდა გასწყვიტოთ ერთს ადგილს, მეორე ზედიდგან ურიცხვი გუნდი მიესევა და აავსებს იქაურობას. ამიტომ სადაც-კი უმთავრესად არის კალია დაბუდებული, ყველგან უნდა გაუწიონ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს. მაგრამ ასეთს მძიმე საქმეს მარტო ადგილობრივი მცხოვრებლები ვერ იტვირთებენ. საჭიროა მთავრობა დაეხმაროს. ეს საშინელი მტერი ჰქლამს მთლად გაანადგუროს მთელის წლის მოსავალი და მშრალზე დასტოვოს მცხოვრებნი. მათი უბედურება ასე თუ ისე მთელის სახელმწიფოს უბედურებაც არის და ამიტომ კალიის გაწყვეტაც საყოველთაო საქმეა.

კალიის გასაწყვეტად ბევრ ნაირ საშუალებას ხმარობენ:

1) იმ ადგილებში, სადაც კალია არის, ცხვრის ფარას გამორეკენ ხოლმე და ასრესინებენ ამ მწერს. მაგრამ ეს საშუალება ჩვენში არ გამოდგება, რადგანაც ხან ცხვრის-პატრონები მთებში აბალახებენ თავის საქონელს და კალია-კი ბარშია გასაწყვეტი.

2) ცოცხებით მოხვეტავენ ხოლმე კუტის კალიებს გუნდს ერთს ადგილს, დააყრიან ზევიდგან ჩალას, გადაასხამენ ნავთს და მერე ცეცხლს წაუკიდებენ. ამ საშუალებას ის ნაკლულევანება აქვს, რომ საჭირო ჩალა და ნავთი ერთობ ძვირად ჯდება.

3) პატარა წყლის რუებს გააკეთებენ და წინ ერთს ადგილს ფიცრით დააგუბებენ. კალიას ჩახვეტავენ შიგ, ამ რუში, წყალი წაიღებს და საგუბართან ჩააგროვებს. მერე აქედგან ამოიღებენ და დასწვავენ. ეს საშუალება მხოლოდ იქ გამოდგება, სადაც ახლოს წყალი ჩამოდის.

4) გააკეთებენ თხრილებს, ჩახვეტავენ შიგ კალიას და მერე ზევიდგან დაუწყებენ ჭყლეტას განგებ გაკეთებულ საჭყლეტ ფიცრებით. ეს საშუალება უფრო იაფადაც ჯდება და ყველგანაც არის მოსახერხებელი. არის კიდევ ბევრი სხვა საშუალება, მაგრამ ჩვენში უფრო ეს ზემოდ ჩამოთვლილები გამოდგება. რასაკვირველია, ტფილისის გუბერნიიდგან დაწყებული კასპიის ზღვამდის ამნაირ მუშაობას დიდ-ძალი ხალხი და დიდ-ძალი ფული დასჭირდება და ამ დიდს შრომას მარტო ამ გუბერნიის მცხოვრებნი ვერ იკისრებენ. ეს საყოველთაო შრომა ყველამ უნდა გაინაწილოს და თუ მთავრობამ არ მოჰკიდა ხელი ამ ფრიად სამძიმო საქმეს, ხალხში შიმშილობა ჩამოვარდება და ეს გარემოება სახელმწიფოსათვისაც დიდად საზარალო იქნება.

თუ კალიის გაწყვეტას მარტო ადგილობრივ მცხოვრებთ მიანდობენ, მაშინ ამ საქმის შესასრულებლად მთელ გაზაფხულის განმავლობაში სულ კალიას ჟლეტას უნდა მოუნდნენ, და ყველა სხვა სასოფლო საქმეზე ხელი უნდა აიღონ. ცხადია, რომ გლეხები ასეთს საქმეს ვერ იტვირთებენ და მთავრობაც ძალას ვერ დაატანს, რადგან შეუძლებელია გლეხები სამუშაოდ გავიდ-

*) ამ სამეურნეო კრების ანგარიშის დაბეჭდვა უადგილობის გამოისობით გუშინ ვერ მოვასწარით.

---

რომ არც ჩემი სიყვარული მოგახვიოთ ძალის-ძალათი თავზედ, არც რომელიმე სხვა ისეთი გრძნობა, რომელიც, სამწუხაროდ, თქვენ ვერ გასიამოვნებთ. სრულს თავისუფლებას განიჭებთ და ჩემის მხრივაც ასევე თავისუფლად მივიჩნევ თავს. ჩემის აზრით, ვითარცა განათლებულნი ხალხნი, კარგად მოვეწყობით.

ფანი თავადის მიმართ გულ ცივობის მეტს არაფერსა ჰგრძნობდა და ზემოხსენებულს სიტყვებს შემდეგ ხომ სულ ერთიან შეიზიზღა და შეიძაგა. იმისი უბრაყვილო და ნორჩი გული ერთიან აღშფოთდა, რა-კი დარწმუნდა, რომ ჩემი ქმარი მართლაც-და ზნეობა დაცემული ადამიანი ყოფილაო. ეხლა-კი აშკარადა ჰხედავდა იმ ბრწყინვალე მერმისს, რომელსაც მშობელი დედა უქადიდა. მაშ აი როგორს ადამიანთან იყო შეკავშირებული და რა კაცთან ერთად უნდა ეტარებინა ცხოვრების უღელი!

ცოტას რომ დასცლოდა, ყმაწვილი ქალი სრულს სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, ხოლო აქაც ნორჩმა წლოვანებამ დაიხსნა, იმ თვრამეტმა წელიწადმა, რომელიც თვით უმწვერვალესს უბედურებასაც-კი წითელ-ყვითელს აცმევს და საუცხოვო ყვავილებითა ჰრთავს.

რა ვუყოთ მერე? ის თავისუფლება, რომელიც თავადმა მომანიჭა, არც ისე ფლასში გამოსახვევიაო.

ფანის სიჭაბუკემ, მომხიბლავმა სიმშვენიერემ, ჰაეროვნებამა და სიმდიდრემ გასჭრა და სასახლეში ბევრს აუჭრელა თვალები.

ფეხი შედგა თუ არა ყმაწვილმა ქალმა უმაღლესს საზოგადოებაში, უპირველესი ადგილი დაიჭირა.

იგი იყო სული და გული მთელის საზოგადოებისა და სადაც უნდა გამოჩენილიყო, უპირველესის კეთილშობილის ოჯახის შვილნი, ჭაბუკნი და ახალგაზდანი, თავს დასტრიალებდნენ და თავ-გამოდებით სცდილობდნენ, მშვენიერის თავადის მეუღლის მოწყალება დაემსახურებინათ.

ენება-გამოუცდელმა ბუნებამ ყმაწვილის ქალისამ თავისი მოითხოვა, ხოლო თავადი-კი თავისს სიტყვას არ გადადიოდა და თავისუფლად ცხოვრებას არ უკრძალავდა. ამ კაცს არაფრის დარდი და ზრუნვა არა ჰქონდა და მხოლოდ იმ გზასა და კვალს მისდევდა, რომელზედაც მთელი თავისი ცხოვრება გაეტარებინა.

გაიარა ექვსმა თთვემ... ბრწყინვალე ცოლ-ქმარნი ლოჟაში არიან... თავადის მეუღლე საერთო ყურადღებას იქცევს და ხშირად აცქერდებიან დურბინდებით იმის ლამაზს სახეს. ყმაწვილი-ქალი გულ ცივად გადასცქერის სცენას და მუსიკის ჰანგს ლოჟის ხავერდით გადაკრულ მოაჯირზედ თავის საუცხოვო თითებს აყოლებს.

ქმარი გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— კნეინავ, ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთან სა ქმელი.

— ბძანეთ..., უპასუხა ფანიმ და თავი მოიბრუნა.

თავადს ტუჩებზედ დაცინვის ხუსხი უქროდა და ამით უფრო ჩვეულებრივზედ უსიამოვნო უხდებოდა სახე.

— თუ ნებას მომცემთ, განაგრძო იმან: ერთს რასმეს მივაქცევ თქვენს ყურადღებას.

თავადმა ჯიბიდგან წერილი ამოიღო.

— ხომ იცნობთ ამ წერილს. თქმა აღარ უნდა, იცნობთ, რადგან თქვენის ხელით არის ნაწერი. ვაღიარებ, გავბედე და თვალი გადავავლე. ამ წერილით თქვენ ისე შინაურულად იწვევთ თქვენსას გრაფ სეკკას, ისეთის სინაზითა სთხოვთ, პატარა დერეფანზე შემოიაროთო, რომ ლამის მე თითონ შევნატრო იმის ბედს. მართალია, სრული თავისუფლება მოგანიჭეთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთს ეპისტოლეს, ჯერ ერთი, ხელს არ აწერენ და, ამასთან, იმდენად გაფრთხილებულნიც არიან, რომ მხოლოდ უერთგულესს მოსამსახურეს მიანდობენ ხოლმე. თქვენმა მოახლემ-კი აი გადმომცა ეს წერილი და სასყიდელიც სულ მცირე გადამახდევინა.

მხოლოდ ოდნავ აკანკალებულს ტუჩებზედ შეეტყო ყმაწვილს ქალს, რომ ქმრის სიტყვებმა ააღელვა.

— გმადლობთ მაგ დარიგებისათვის, არხეინად უპასუხა ფანიმ: ამას იქით უფრო გავფრთხილდები... ხოლო, თუ ნებას მომცემთ, მეც გაუწყებთ ორიოდე ამბავს.

— ბძანეთ, ყურს გიგდებთ.

ყმაწვილმა ქალმა ჯიბიდგან წერილი ამოიღო და დაანახვა გაოცებულსა და წარბ-შეჭმუხვნილს თავადიშვილს.

— ხომ იცნობთ ამ წერილს. რაღა თქმა უნდა, იცნობთ, რადგან თქვენის ხელით არის ნაწერი. ვაღიარებ, გავბედე და თვალი გადავავლე. თქვენ ისეთის არა-სასიამოვნო ფერადითა გყევართ ამ წერილში აწერილი, რომ სწორედ გამაოცა, რადგან კარგად ვიცი, რომ მოუფიქრებლადა და საქმის გაუსინჯავად ერთს ნაბიჯსაც არ გადასდგამთ ხოლმე. მართალია, თავისუფლად დარჩენა ინდომეთ, მაგრამ თქვენც ნუ დაგავიწყდებათ-კი, რომ მოცეკვავე ქალთან მიწერილს წერილში თქვენი მეუღლე არ უნდა აიგდოთ სასაცილოდ და არ უნდა დაამციროთ. თუ მაინც და მაინც უამისობა არ შეგიძლიანთ, იმდენად მაინც გაფრთხილდით, რომ თქვენი ეპისტოლე მხოლოდ უერთგულესს მოსამსახურეს მიანდეთ ხოლმე. თქვენმა პირის-ფარეშმა-კი ეს წერილი გადმომცა და, წარმოიდგინეთ, იმანაც სულ მცირე სასყიდელი გადამახდევინა.

და ყმაწვილმა ქალმა ქმარს გადასცა წერილი.

ერთს წუთს ცოლ-ქმარნი თვალდაშტერებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ ორივეს სიცილი წასქდათ და კარგა ხანს იხარხარეს.

ქორწილს შემდეგ ცოლ-ქმარმა პირველად გაიცინეს ერთად წმინდის გულით და არა-ცბიერად, არა-თვალთმაქცად.

სწორედ ამ დროს უმთავრესი არტისტი-ქალი ნაზად დამღეროდა ნელს არიას, ხან მაღლა ასწევდა ხოლმე და იმისი ხმა რაკრაკით გაისმოდა ჰაერში... და აი იმის გალობა მოულოდნელად შეაჩერა და შესწყვიტა ამ უეცარმა სიცილ-ხარხარმა.

საზოგადოებამ უსიამოვნოდ მოიხედა წესიერებისა და სიჩუმის დამარღვეველთაკენ, მაგრამ დაინახა თუ არა მშვენიერი თავადის მეუღლე, რომელსაც სიცილი ჯერ კიდევ არ შეეჩერებინა, ისევე დაწყნარდა და სტვენა არ დაუწყვია.

მთელს თეატრში თავიდგან ბოლომდე გაისმა: „რა ბედნიერნი არიან! რა სასიამოვნო ცოლ-ქმრობა აქვთო!"

—რ-ანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნენ, მთელს გაზაფხულს კალიის ულეტას მოუნდნენ, უხენელ-უთესნი დარჩნენ და თანაც მუშაობის დროს თავის ხარჯით იცხოვრონ სწორედ მაშინ, როცა იოლიანს გლეხსაც კი გამოლეული აქვს სარჩო. მაშასადამე, ჩემის ფიქრით, მთავრობამ შემდეგი ღონისძიება უნდა მიიღოს ამ საზოგადო ჭირის თავიდგან ასაცდენად.

1) კალიის გასაწყვეტად გამოწვეული მუშა თავის ხარჯით უნდა არჩინოს.

2) მიაშველოს სოფლებს ამ საქმეში ჯარები.

3) დაარსდეს ცალკე „საკალიო კომიტეტი", შემდეგის მოწყობილობით: ტფილისში უნდა იყოს ცენტრალური, ანუ შუა-გული კომიტეტი; ყოველს გუბერნიაში, სადაც კალიაა,—გუბერნიის კომიტეტი, და ყოველს მაზრაში — მაზრის კომიტეტები. „საკალიო კომიტეტი" შეეჭიდება კალიას უფრო ხერხიანად, უფრო მეცნიერულად: გამოიძიებს, თუ სად არის იმისი უმთავრესი ბუდე, თუ რა საუკეთესო ღონისძიებაა მოსაგვარებელი იმის გასაწყვეტად, და უფრო კარგად გამოიყენებს მუშებისა და ჯარის-კაცების შრომას.

4) მიეცეს განსაკუთრებული ჯილდო იმ პოლიციის მოხელეებს, რომელნიც სხვა თავის მოვალეობის ასრულების გარდა, კალიასაც ებრძვიან, რომ მეტის გულ-დადებითა და თავ-განწირვით მოეკიდნენ ამ საქმეს.

თავმჯდომარე. სახელმწიფოს ყოველს კუთხეში, სადაც-კი მცხოვრებლებს რაიმე უბედურება ეწვევათ ხოლმე, მხოლოდ თვით ეს მცხოვრებლები ტვირთულობენ, თავის თავს თითონ უშველიან და თითონ თავის შრომით აიცილონ უბედურება. ამით მცხოვრებნი მარტო თავის საქმეს-კი არ აკეთებენ, არამედ საერთო სახელმწიფო საქმესაც. ამ მოვალეობას ეძახიან სასოფლო მოვალეობას. მაგრამ სასოფლო მოვალეობაც კიდევ ორ-ნაწილად გაიყოფება: 1) გადასახადი ფულით და 2) ვალდებულება ყოველის გლეხისა, რომ საერთო საქმეს ემსახუროს თავისის მუშაობით. ამ ნაირი ვალდებულებაა, მაგალითებრ, გზების კეთება და, სხვათა შორის, ბრძოლა იმ ჭირთან, რომელიც მოევლინებათ ხოლმე. ამ მოვალეობის ფულად გადაქცევა ჩვენს კანონებს არ ეთანხმება და ნება არა გვაქვს, ამის შესახებ მთავრობას ვთხოვოთ რამე. ჯარების მოთხოვნა ახლა გვიან იქნება, ჩემის ფიქრით: სანამ ამ თხოვნას აგვისრულებდნენ და პეტერბურგიდგან ნება-რთვა მოგვივიდოდეს, მანამდის კალია თავისას იზამს. გარდა ამისა ცალკე საკალიო კომიტეტის დაარსებაც არ შეიძლება. მთავრობას იმდენი ფული არა აქვს, ამდენი კომიტეტი შეინახოს. რაიცა შეეხება კალიის ბუდეების გამოკვლევას და იმის გაწყვეტის ღონისძიებას, ჩვენი საზოგადოება ვალდებულია დაეხმაროს ადმინისტრაციას ამ საქმეში. მთავრობას, ჩემის ფიქრით, მხოლოდ ის უნდა ვთხოვოთ, რომ კალიის გასაწყვეტად დანიშნული ფული მოგვიმატოს.

თავადი შარვაშიძე. საჭიროა გავაცნობოთ მთავრობას ამ საქმის სიმძიმე, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს. ეს იმისთანა უბრალო საქმე არ არის, რომ იმის ასე მიყრუება შეიძლებოდეს. მხოლოდ მთავრობას შეუძლიან მოგვცეს სახსარი კალიის მოსპობისათვის. ამას გარდა რეფერენტის მიერ დასახელებულ კალიის გასაწყვეტ საშუალებასაც სრულიად ვეთანხმები.

ბ-ნი მოროზი. მთავრობას არ შეუძლიან ცალკე ფული გადაჰქდოს კალიის გასაწყვეტად. ჯერ ერთი, რომ სახაზინო ფულს თავისი დანიშნულება აქვს. იგი ორ ნაწილად განიყოფება: 1) სახელმწიფოსათვის საჭირო ფულად და 2) სასოფლო ფულად. პირველ ნაწილიდგან რომ საკალიო ფულის გამოკლება არ შეიძლება, ეს ცხადია. მაგრამ ვერც სასოფლო ფული მოხმარდება ამ საქმეს, ეს ფული ხმარდება მხოლოდ სხვა სასოფლო საქმეებს, რომელიც მთელის სახელმწიფოს წესიერების დაცვისათვის არის საჭირო და რომელსაც, მაშასადამე, საერთო, საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. კალიას გაწყვეტა-კი მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლების საქმეა და არა საყოველთაო, როგორც ბ-ნი ვერმიშევი ბძანებს.

ბ-ნი ვერმიშევი. როდესაც მთელის სახელმწიფოს ერთ-ერთი ნაწილი დასნეულდება, მაშინ სახელმწიფო უნდა ეცადოს ეს ნაწილი მოარჩინოს, თუ არა და, თვით იგიც ცოტად თუ ბევრად დასნეულდება. ამდენის ხალხის დაღარიბება ავნებს მთელის სახელმწიფოს ბიუჯეტს. გარდა ამისა, ჩვენს კანონ-მდებლობას არ დაუშლია და მთავრობას ხშირად მიუწვდენია დახმარება უბედურებაში ჩავარდნილ ხალხისათვის და, მაშასადამე, კანონები მხოლოდ მაშინ უნდა იყვნენ სასტიკად დაცულნი, როდესაც საზოგადო საქმე ჩვეულებრივად, მშვიდად, რიგიანად მიდის. ხოლო როდესაც ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა შესწყდება, მაშინ სხვა, ახალი, კანონისაგან უცნობი ღონისძიებაა საჭირო. ამას არც ჩვენი კანონ-მდებლობა ჰყოფს უარს.

თავმჯდომარე. ჩვენ მაინც არა გვაქვს ნება, მთავრობას ვთხოვოთ, ეგ კანონი დაარღვიეთო. თქვენ იმასაც ამბობთ, მაგალითად, რომ პოლიციის მოხელეებს ჯამაგირი მოემატოსო. ნუ თუ ესეც ჩვენი საქმეა?

შემდეგ ამისა ბ-ნი შიმანოვსკი ამტკიცებდა, რომ ის ღონისძიებანი, რომლის შესახებაც ბ-ნი რეფერენტი ლაპარაკობს, ხალხს დროზე ვეღარ მოუსწრება და, სანამ ეღირსებოდეს, მანამდის კალია თავისას იზამსო. სჯობს ახლა ის ვიფიქროთ, რა ნაირად მოვიხმაროთ რაც ამ საქმისათვის უკვე გადადებული ფულიაო.

ბ-ნი ვერმიშევი. თუ ამ საქმეს მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და მალე დაგვრთო ნება, ჯერ დაგვიანებული არ არის.

მომეტებული ნაწილი წევრებისა იმ აზრისა იყო, რომ „სამეურნეო საზოგადოების" ხმას დიდი მნიშვნელობა ექნება და ამიტომ კარგია, რომ გაცნობებდეთ უმაღლესს მთავრობას ხალხის გაჭირებას და ვსთხოვდეთ იმას: დეპეშით 1) „საკალიო" ფულის მომატებასა და 2) რომ ჯარებიც მიაშველოს იმ სოფლებს, სადაც უფრო მძვინვარებს კალიაო.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ შეადგინა დეპეშა კავკასიის მთავარ-მართებელ თავად დონდუკოვ-კორსაკოვთან. ამ დეპეშით საზოგადოება სთხოვს მისს ბრწყინვალებას, იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რათა შეწყნარებულ იქმნას ზემო აღნიშნული ორი თხოვნა „საზოგადოებისა".

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. გორდი (სამეგრელო), აპრილი 10. სოფ. გორდი თავისის მდებარეობით, ჰავითა და წყლით მთელს სამეგრელოში გათქმულია. ამ სიკეთესთან ერთი ნაკლულევანება სჭირს. სოფელს ახლო-მახლო სახნავ-სათესი ადგილები მცირედ აქვს. სოფლის გარედ სახნავ სათესი ადგილები ბლომად არის, მაგრამ მათი შემუშავება და მერე იქიდამ მოსავლის ჩამოტანა ცოტა არ იყოს უძნელდებათ. სიმინდი, პური, ლობიო და სხვა აქ იმდენი ითესება, რამდენიც მიუცილებელი საჭიროა თვით ოჯახში სახმარებლად. გასასყიდად ხიმინდის, ანუ პურის მოყვანა აქ არავის აზრადაც არ მოსდის. ამის მიზეზი ბაზრის სიშორეა, მაგალითად, ახალ-სენაკისა, ანუ ხონისა. აქაურების ნივთიერი მდგომარეობა ერთი-ორად შეეა წარმატებაში, თუ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კარტოფილსა და კომბოსტოს მოყვანას. კარტოფილიცა და კომბოსტოც აქ კარგი მოდის. ცნობილია, რომ აქაური კართოფილი სიმსხოთი და სიკარგით ახალციხურზე, თუ უკეთესი არა, უარესი არ არის. ღვინო აქ ბლომად მოდის, მაგრამ იშვიათი წელიწადი იქნება, რომ კარგი დადგეს. სიცივეები ადრე დგება: ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრობს და ამის გამო აქაური ღვინო შესამჩნევად მჟავე გამოდის. ამიტომ ბაზარში გასავალი არა აქვს და ისევ შინა ხმარობენ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიმხედველი და გორდელების ყოფა-ცხოვრების უცოდინარი იტყვის, რომ იქ ხალხი ქონებრივად ძლიერ დაცემული უნდა იყოსო; მაგრამ ეს ასე არ არის. გორდელები სხვა სოფლელებთან შედარებით ქონებრივად კარგს მდგომარეობაში არიან. სახლ-კარი, შიგ მორთულობა, ჩაცმა-დახურვა, ყოველივე ესე ცხადად ამტკიცებს მათს შეძლებას. მაშ რა წყარო აქვთ შემოსავლისაო, მკითხავთ. მოგეხსენებათ, რომ მის უგანათლებულესობას თავად სამეგრელოისას აქ შიგ სოფელში გამართული აქვს საზაფხულო სასახლე და იმასთან დიდი და შესანიშნავი ბაღი. სასახლეში მოხელე-მოსამსახურეები და ბაღში მომუშავენი ბლომად არის საჭირო. ამ საქმეს მისის უმაღლესობის სურვილისამებრ თითქმის მარტო გორდელები აკეთებენ და იმათი შრომა ჯეროვნად ჯილდოვდება. აი ეს გახლავთ ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა და გორდელების ქონებრივ კეთილდღეობისა.

როდესაც მისი უგანათლებულესობა აქა ბძანდება, მაშინ ხომ უფრო ბევრი სამუშაო საქმეები ჩნდება. ამის გამო გორდელები ყოველთვის მხიარულებით ეგებებიან იმის ჩამობძანებას. წრეულს იგი პეტერბურგიდგან საშობაოდ ჩამობძანდა და შემოდგომამდის აქ აპირებს დარჩენას.

სხვა მრავალ სიკეთესთან, მისმა უგანათლებულესობამ გორდელებს ის სიკეთეც მოუტანა, რომ აქ თავის სასახლეში გამართა შინაური აფთიაქი და წამალს უფასოდ აძლევს ავადმყოფთ. ეს დიდი შემწეობაა მცხოვრებთათვის, მით უმეტეს, რომ წრეულს ავადმყოფობა აქ ძალიან გახშირებულია.

ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოიწვია ხალხისა მისის უგანათლებულესობის მიმართ.

გასულს ხუთშაბათს მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში საერო დღეობა იყო და დიდი ხალხიც დაესწრო. წინად წელიწადი ისე არ გასულა, რომ ამ დღეობაზე რაიმე აყალმაყალი არ ატეხილიყოს, მაგრამ წრეულს ამ დღეობამ აქ ძლიერ მშვიდობიანად ჩაიარა. თითქოს ყველა ოჯახში დიდი სტუმრიანობა იყო გამართული ჩვეულებისამებრ, მაგრამ გადაჭარბებით დალეულს იშვიათად ჰნახავდით. მიზეზი ის იყო, რომ დიდად ნასვამიც თავს იკავებდა: ჩხუბი მომივა, ბატონი შეიტყობს და ეწყინებაო.

ეხლა მისის უგანათლებულესობის ხარჯით შენდება აქაურის სოფლის სასამართლოს გვერდით სამ-თვალიანი სახლი, რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ გამვლელ-გამომვლელ მოხელეებს მთავრობისას საჭირო შემთხვევაში ღამის გათევა შეეძლოთ.

კ. თეკლათელი

## წერილები რედაქციის მიმართ

I

არ ვიცი და ვერც გამიგია, რა აიძულებს ბ-ნ ქართულის თეატრის მართველს, რომ აცხადებს ჩემს გვარს გაზეთში, ვითომ ვიღებ მონაწილეობას მისგან დანიშნულს ქართულს წარმოდგენებში, მაშინ-როდესაც არც-კი მატყობინებს, ან საჭირო ვარ და უნდა მივიღო წარმოდგენაში მონაწილეობა, თუ არა. მე არც გუშინდელ, 13 ამ თთვის, რიცხვში მიმიღია მონაწილეობა და არც დღეს ვაპირებ. გამოცხადებული-კი ვიყავ და ვარ დღესაც. ამისთვის ვსთხოვ ბ-ნ მართველს ქართულის თეატრისას, დღეის იქით ჩემს ნება-დაურთველად და ჩემს დაუკითხავად ნუ ინებებს და ნუ გამოაცხადებს ჩემს გვარსა და სახელს ნურც გაზეთებში და ნურც აფიშებზედ.

უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ამ ჩემს წერილს მცირე ადგილს ნუ დაუჭერთ თქვენს გაზეთში.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა

II

არც ჩვენი რკინის გზის მოსამსახურენი ჩამორჩნენ უკან სხვებს და თანაგრძნობა გაუწიეს ისეთ კეთილ საქმეებს, როგორც არის შემწეობის აღმოჩენა ცეცხლისაგან დაზარალებულის წინამძღვრიანთ სკოლისა და განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულის ფონდისათვის. ამ ორ საქმეს შეძლებისადა გვარად სიამოვნებით შემწეობა აღმოუჩინეს ქვემო მოხსენებულთ:

იოსებ ფანცულაია 5 მან., ივანე დოდაშვილი მეღაროველი 5 მან., ზურაბ მაისაშვილი 5 მან., კოსტა ქაჯაია 3 მან., ივანე გაგუა 2 მ., ანდრია შათათავა 2 მ., ვარდენ ყიფიანი 2 მ., სერგეი ფირუმოვი 2 მ., სიმონ ფელია 1 მ., იაგორ რესაძე 1 მ., პავლე სხვიტარია 1 მ., ვარდენ ცქიტაშვილი 1 მ., დიმიტრი თოფურია 1 მ., პავლე ცომაია 1 მ., ტარასი კაპანაძე 1 მ., ვასილი ორჯონიკიძე 1 მ., ალექსანდრე ვარდანაშვილი 1 მ., მალხაზ რიყამაძე 1 მ., ისიდორე მიქობაძე 1 მ., იოსებ ბარბაქაძე 1 მ., ნესტორ ავალიშვილი 1 მ. სულ 39 მან.

წარმოვადგენ რა ამასთანავე 39 მანეთს, უმორჩილესად გთხოვთ გაუგზავნოთ დანიშნულების გვარად, ესე იგი ნახევარი 19 მან. 50 კაპ. წინამძღვრიანთ სკოლის სასარგებლოდ და 19 მან. 50 კაპ. დაარსებულ განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე ფონდის სასარგებლოდ. აგრეთვე გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ სიას თქვენს გაზეთს „ივერიაში".

ი. ფანცულაია

ხაშური.

## რუსეთი

ოდესული გაზეთები მოგვითხრობენ შემდეგს ფრიად სამწუხარო ამბავს.

ერთს მისრწნილ მოხუც-მღვდელს მთელი თავისი ქონება, 4,000 მანათი, რომელიც იმას თავის ხანგრძლივის სამსახურით შეუძენია, დანილევსკის საბანკო კანტორაში შეუტანია, რომ იმას სარგებლით მოესვენებინა და უზრუნველად გაეტარებინა დანარჩენი თავისი დღენი. იგი თურმე ერთს მიყრუებულ ადგას სცხოვრებდა, გაზეთებს არ ჰკითხულობდა და არ იცოდა, რომ ბანკი კაი ხნის გაკოტრებული ყოფილიყო. ბანკის მწარმოებელმა იოვანნოვიჩმა ისე შეირცხვინა თურმე თავი, რომ მაინც გამოართვა მღვდელს ამისი ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი. მღვდელი ისევ თავის სოფელში წასულა და დიდ-ხანს არც-კი მოუკითხავს ფულები. ზედნიერ დღების წინად მღივ-მღივობით ჩამოუხწევია საწყალს თავის ერთის ქალიშვილითურთ ადესაში და მისულა დანილევსკის კანტორაში, მაგრამ ვაი იმ მისვლას: კანტორა დაკეტილი დახვედრია; დიდხანს ყოფილა თურმე ატუზული კანტორის კარების წინ და ბოლოს ერთ გამვლელისათვის უკითხავს, რა ამბავია, კანტორას რატომ არ აღებენო და მხოლოდ მაშინ გაუგია, რომ დიდის ხნის გაკოტრებული ყოფილიყო. ამ ამბავს ისე შეუწუხებია საწყალი მოხუცი, რომ ენა წართმევია და ხმა-ამოუღებლივ და უძრავად სწევს თურმე სასტუმროში; სასო წარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალიშვილი-კი ცხარე ცრემლით დასტირის თავის უბედურ მამას.

— ამას წინად პეტროკოვის გუბერნიას სოფელს ზელეხლინში გლეხებმა ერთი შემაძრწუნებელი საქმე ჩაიდინეს თურმე. სასოფლო მოხელეებს დაეჭირათ სამი ცხენის ქურდი და წარედგინათ სასოფლო მართველობისათვის. ამ ამბავზე მთელი სოფელი მოცვენილიყო და მოეთხოვნათ ყარაულებისთვის, ქურდები გადმოგვეცითო. იმათ რომ უარი ეთქვათ, გლეხებს მალად გამოგლიჯეს თურმე საწყლები ხელიდგან, დასცემოდნენ და დაეწყოთ ცემა-ტყეპა. მგელი რომ ცხვარს დაერევა და დაუწყებს ფათრვას, ერთი ქურდი სწორედ ისე დაეხიათ და დაეწიწკნათ და იქვე მოეკლათ. დანარჩენებისათვის-კი ისეთის გამძვინვარებით ეცემნათ, რომ ისინიც იმ დღესვე მომკვდარიყვნენ საავად-მყოფოში დიდის ტანჯვითა და წვალებით.

## წვრილი ამბები

კოპენჰაგენში დიდი ალიაქოთი ასტეხა თურმე ერთმა ამბავმა. უცბად გაჰქრა და დაიკარგა მუშათა ამხანაგობის ერთი წევრი, მოხუცებული კაცი მეიერი, რომელიც კოპენჰაგენს ერთს ფაბრიკაში მუშაობდა. პოლიცია და ნათესავები იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ, მაგრამ ამბავიც ვერ შეიტყვეს დაკარგულისა. ბოლოს ეჭვი ერთს საპნის ქარხნის პატრონზე ფილიპსენზე შეიტანეს, რადგანაც, როგორც გაიგეს, წინა-დღეს საწყალი მოხუცებული მუშა იმისას მისულიყო. ფილიპსენმა გაქცევა დააპირა და მაშინვე ერთს ამერიკაში მიმავალ ხომალდში ჩაჯდა. მაგრამ პოლიციამ შეუტყო და უკან დაედევნა. ფილიპსენის საუბედუროდ, იმის ხომალდი კლდიან ადგილს წააწყდა, ზედ შედგა და შერჩა. ამიტომ პოლიციამ მოასწრო გაქცეულს, დაიჭირა და ისევ შინისკენ დააბრუნა. ფილიპსენი გამოტყდა, მართალია, მეგონა, ბევრი

ფული ექნებოდა და ამის გულისთვის მოეკალიო; მერე ნაჭერ-ნაჭერ აკეუწე, აჭრილი ხორცი კირით სავსე ბოჩკაში ჩავყარე და ამერიკაში გავაგზავნეო და იმისი სერთუკი ერთს ჩემს მოსამსახურეს ვაჩუქეო. აქ საკვირველი ის არის, რომ მკვლელს დიდს პატივსა სცემდნენ თურმე საზოგადოებაში, ცოლად ერთის მდიდარ ბანკირის ქალი ჰყავს და იმისი ერთი ნათესავიც საკანონმდებლო კრებაზეა კანდიდატად.

— ამერიკიდგან მოდის ამბავი, აქტაბასკელ ინდიელებს შორის ისე მძვინვარებს შიმშილობა, რომ მშობლები შვილებსა ჰხოცავენ და სჭამენ და ამიტომ მრავალი ხალხი იჟლიტებაო.

— საფრანგეთის ერთს ქიმიკოსს მოუგონია უგემური და უსმო წამალი, სანადიროდ. ეს წამალი სხვათა შორის იმითაც არის თურმე კარგი, რომ სრულიად უშიშარი, უფათერაკოა და ამის გამო ადვილად შესანახავი.

— ლონდონში გაიყიდება მალე ერთი დასტა ნაპოლეონ I-ის ხელით დაწერილი წერილი.

— ლონდონშიაც უნდათ მალე ააშენონ ერთი იმისთანა შესანიშნავი კოშკი, რომ საფრანგეთში ეიფელის მიერ აშენებულს არ ჩამოუვარდეს. ამის გამო უკვე 70 გეგმაა სხვა-და-სხვა ხუროთმოძღვრებისაგან წარმოდგენილი, მაგრამ ამ გეგმათა შორის ორია თურმე განსაკუთრებით ყურადღ-საღები: ერთი შეუდგენია პატარა ნორვეგიელ გოგოს და მეორე—იორკის პანსიონის ათის წლის შეგირდს.

— პირველს აპრილს თავის დაბადების დღეობაზე, თავადს ბისმარკს მრავალი ძღვენი მისვლია და სხვათა შორის ერთი მაგრად შეკრული ყუთიც. მოსამსახურეებმა ამ ყუთს რომ თავი ახსნეს, ნახეს, რომ სულ ქაღალდის ნაკუწებით იყო გამოტენილი. დაუწყეს ნელ-ნელა ამოკრეფა ქაღალდებს, მაგრამ ბოლოს ძირში იმისთანა რამ დაინახეს, რომ თავსზარი დაეცათ, ყუთი ხელიდგან გააგდეს და გაიქცნენ. მერე, როგორც იქნა, ისევ მობრუნდნენ და ამოიღეს ერთი ხელოვნურად გაკეთებული ტარტაროზი. ეს ძღვენი თავად ბისმარკისათვის ერთს იმის თაყვანის-მცემელს გამოეგზავნა თავისის პატივცემის გამოსაცხადებლად.

# დეპეშა

13 აპრილი

პეტერბურგი. განზრახვა აქვთ 1 მკათათვიდგან ახალი წესები შემოიღონ ტრაქტირების შესახებ.

პროექტია შეტანილი იმისი, რომ ზოგიერთ დიდ სამრეწველო სოფელში სამაგალითო სახელოსნოები დამართონ.

„Нов. Время“ ამბობს, რომ განზრახვა აქვთ, ევროპისა და ამერიკის ელჩებსაც დაავალონ იმისთანა ანგარიშის შედგენა, თუ იმათ საელჩოში როგორს ვაჭრობაში არიან რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქვეშევრდომნი, ისე როგორც აღმოსავლეთის ელჩებსა აქვთ დავალებულიო.

სასანიტარო და საბეითალო პოლიციის წესების დარღვევის სასჯელში ცვლილებანი უკვე შემოღებულია და დამტკიცებული. ვინც ამ წესებს დაარღვევს, 300 მან. ჯარიმა გადახდება და ან სამის თთვით ციხეში იქმნება დაპატიმრებული. თუ დანაშაული განაახლეს, სასჯელიც გაუორკეცდებათ. ვისაც ურიგო და მაწყინარ სურსათის კეთება დაჰბრალდება, იმას პირველად 300 მან. ჯარიმა გადაჰხდება და 3 თთვით საპატიმროში დააწყვდევენ, მეორედ 600 მ. ჯარიმას და 6 თთვით ციხეს გადაუწყვეტენ და მესამედ კი, ზოგიერთი უფლება ექნებათ ჩამორთმეული.

„С.-Пет. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ დამტკიცებულ იქმნა პროექტი კურსკის სამეურნეო ბანკისა, რომელსაც ძირეული თანხა 3 მილიონი ექმნება. ბანკმა უმთავრესად სესხი უნდა გასცეს პურსა და სხვა სამეურნეო სურსათზედ, რომელიც დაწყობილი იქმნება ვაგონებზედ პორტასა და სხვა ქალაქებში გასაგზავნად და ან საწყობებში ექმნებათ შესანახად ჩაბარებული.

სამარყანდი. დღეს დილით ნეაპოლიტანის პრინცმა მიაღწია თავის მგზავრობის საზღვარს—სამარყანდს. რკინის გზის სადგურზედ პრინცს მიეგებნენ თითქმის ყველა რუსისა და ადგილობრივნი მკვიდრნი ოლქის უფროსის წინამძღოლობით. ქალაქის მიდამოთა და სიძველეთ პრინცი სამს დღეს დაათვალიერებს და შემდეგ უკანვე დაბრუნდება.

ნიცა. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბძანდებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტთან. სამაგიერო დარბაზობა, კარნოს მინდობილებით, გენერალ ბრიუგერმა გაუწია.

რომი. განზრახვა აქვთ ხარჯი შეამცირონ ჯარზედ 9 მილიონითა და ფლოტზედ 5 მილ. ფრანკით.

14 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულია გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი, რომ გავრცელდეს ის წესები, რომელიც მოხსენებულია მესამე სხოლიოში გლეხთა საზოგადო დებულების მე-24 მუხლისაში და ამ მუხლის 1886 წლის დამატებაში, მიწადმფლობელ ებრაელებზედაც, უკეთუ მამული და ქონება მათი გაისყიდება კერძო ვალებში.

ყაზანი. ასის თავი პეშკოვი გუშინ მოვიდა ყაზანში ცხენით, რომლითაც 155 დღეში, ცხენ შეუცვლელად გაუვლია 6787 ვერსი. პეშკოვი კიდევ შორს აპირობს წასვლას.

ბელგრადი. (განსაკუთრებულის კორრესპონდენტისაგან). ოფიციალურად მტკიცდება, რომ ვიდდინის მაზრაში, სოფ. თიანოვცას, სერბიისა და რუმინიის სამზღვრებზე გამოჩნდა რაზმი ას კაცამდე აჯანყებულთა. ვიდდინიდამ გაგზავნილი ჯარები დაბანაკდნენ სოფელ ავაჯში. მოსამზღვრე სოფლებში ბევრს იჭერენ და აპატიმრებენ. სერბიელებმა ჯარი გამოიყვანეს საზღვრების დასაცველად.

პეტერბურგი. საბირჟო ცნობანი: გირავნობის ფურცელნი საადგილ-მამულო ბანკებისა: ტფილისისა გაიყიდა $99\frac{1}{4}$ მან., ქუთაისისა 99 მან.; ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან $86\frac{1}{2}$ მანეთს.

პეტერბურგის ბირჟა, 13 აპრილი.

| | გამყიდველნი | | მყიდველნი | | გაყიდულა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | | „ | 7 | 24 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | | „ | $144\frac{3}{4}$ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 07 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | $226\frac{1}{2}$ | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 215 | |
| —მესამისა | 217 | | — | „ | $215\frac{1}{2}$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის ხაერთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჲ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

15 დღე კვირა. ქართვ. წმ. მოწამეთა არისტარხო, პუდო და ტროფიმესი; წმ. მოწამეთა სუხიასი და მოყვასთა მისთა ქართველთა პირველ საუკუნის ბოლოში. კათოლ. წმ. კრესცენცია და ანასტასიასი. სომეხ. 1[illegible] დღე აღდგომის შემდეგ. ხსოვნა იოანე ნათლის მცემლის თავის კვეთისა. მზე ამოდ. 5—2, ჩ. 6—54. ქეშმ. შუად. 11—57. მთ. 8 დღისა.

16 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. მოწამეთა აღაპია, ირინა და ქიონისა. კათოლ. წმ. კალიკსტასი და ლამბერტისა. სომეხ. 16 დღე აღდგომის შემდეგ. მზე. ამოდ. 9—1. ჩ. 6—55. ქეშმ. შუად. 11—57. მთ. 5 დღისაა.

# განცხადებანი

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ჰყიდოთ ჩვენი.

**საზოგადო წასასმელი**

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიერ ზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება (26—13)

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმიოდ:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმიოდ“.

სხვა და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—7)

საწყობი

**მ. ადელხანოვისა და ამხ.**

ფაბრიკისა და ქარხნის საქონლისა

ერევნის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი გენერალ ტერ-ასატუროვისეული.

მზა ფეხსაცმელები მამრთა და მდედრთათვის ახალის სხვა და-სხვა ფასონისა ისყიდება წვრილ-წვრილად იმავე ფასად, როგორც ფაბრიკებში.

ტყავის საქონელი: სამოგვე (юфть) თეთრი და შავი, ყოველგვარ ხარისხის ცხენის ტყავი, თალათინები (აპოიკები), მეშები (საფიანები), კუმუხტები (შაგრენები), დაჭიმული სამოგვე (юфтовыя вытяжки), ნახევრად მოთელილი ტყავის საქონელი (полувалы), ფეხსაცმელის ძირები ანუ ლანჩები (პადოშები), საუნაგირე და მოუქნელი ტყავები (сыро-мятныя кожи).

მოთელილი ნაბდების საქონელი

ყველა ხარისხის მოთელილი ნაბადი და ლეკური ნაბდები.

უმთავრესი კანტორა ტყავების ქარხნისა იმყოფება: ტფილისში, ერევნის გზა ტკეცილზე, საკუთარს სახლში. 10—7

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის, გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

**„დ ა ნ ი ა“**

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთაც ვის საგანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზითა და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. }
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—13) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ ე რ ლ ი ნ შ ი

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

**ფოლადის გუთნები**

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—16)

Доз. ценз. Тифлисъ, 14-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე